ხელშეკრულება #29

ქ.ქარელი 6.02.2013წელი

ერთის მხრივ შპს „მგთიკომი" წარმოდგენილი მისი გორის ოფისის ზედამხედველის გოჩა ხარშილაძის სახით(შემდგომში გამყიდველი) და მეორეს მხრივ ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულო, მისი თავმჯდომარის პაატა ღვინიაშვილის (შემდგომში მყიდველი)სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე: CPV 48200000

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის სახსრებით 120 (ასოცი) ლარის კავშირგაბმულობის მომსახურეობის შესყიდვა.

1.1. მომსახურეობის შესყიდვა შეიძლება მოხდეს ეტაპობრივად გამყიდველის ანგარიშზე ჩარიცხული თანხების პროპორციულად.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1. მყიდველი ვალდებულია:

2.1.1. გადაუხადოს გამყიდველს მომსახურეობის ღირებულება ხელსეკრულების მე-3 მუხლის შესაბამისად.

2.2. გამყიდველი ვალდებულია:

2.2.1. ანგარიშზე ტანხის ჩარიცხვის დადასტურების შემდეგ,გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობა

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

3. ფასი და ანგარიშსწორება

3.1. ანგარიშსწორება წარმოებს ნაღდი და უნაღდო ანგარიშწორების ფორმით;

3.2. მყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში 1.1. პუნქტში აღნიშნული თანხის ანგარიშწორება გამყიდველთან მოახდინოს ნაწილობრივ.

3.3.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოწმედებს 2013 წლის 10 აპრელის ჩათვლით.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისატვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. ფორს-მაჟორი

6.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შემთხვევაში (როგორიცაა სტიქიური უბედურება, მიწისძვრა, სამხედრო მოქმედებები და დაუძლეველი ძალის მქონე მხარეთაგან დამოუკიდებელი სხვა გარემოებები), რომლებიც მთლიანად შეუძლებელს ხდიან ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

6.2 მხარეები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ აცნობონ ერთმანეთს ასეთი გარემოებების არსებობის შესახებ.

7. სადავო საკითხების გადაწყვეტა

წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლოში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. დასკვნითი დებულებები

8.1 წინამდებარე ხელშეკრულება სრულიად ადასტურებს მხარეთა კონსენსუსს და არანაირი ზეპირი ცვლილება ან დამატება არ განიხილება, როგორც ამ ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი;

8.2 ხელშეკრულებაში შესაძლებელია შეტანილი იქნას ცვლილებები, რომელიც გაფორმებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით და დამოწმებული ორივე მხარის მიერ.

8.3 ხელშეკრულება შედგენილია ორ პირად, ერთი პირი გადაეცემა გამყიდველს და ერთი პირი მყიდველს. ორივე პირს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

გამყიდველი:	მყიდველი:
იურიდიული მისამართი	**იურიდიული მისამართი**
ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №5	ქარელი, ნინოშვილის 3
საბანკო რეკვიზიტები:	**საბანკო რეკვიზიტები:-:**
ს.ს. "ვითიბი ბანკი"	
ცენტრალური ფილიალი	
ა/ა GE73VT6600000000423607;	ბ/ა
კოდი: UGEBGE22	კოდი:
საიდენტ. კოდი: 204876606	საიდენტ. კოდი: 240893002
	საკონტაქტო ტელ: 599108581
გორის ოფისის	ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარე
ზედამხედველი	
(გოჩა ხარშილაძე)	(პაატა ღვინიაშვილი)